ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის

სხდომის ოქმი № 55

07 სექტემბერი, 2021 წელი ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი №2
13:00 საათი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

თ. ნიბლოშვილი, ა. ლაშხი, მ. დარჩია, ე. კუხიანიძე, ვ. ძნელაძე, ვ. ოთარაშვილი, ბ. ფირცხელიანი

მოწვეული სტუმრები:

1. ნანა ჩიკვაიძე - ა(ა)იპ ქ. თბილისის №70-ე საბავშვო ბაგა-ბაღის დირექტორი
2. ლალი ქემხაძე - ა(ა)იპ ქ. თბილისის №34-ე საბავშვო ბაგა-ბაღის დირექტორი

სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე ლევან ჯაფარიძე, ხოლო კომისიას თავმჯდომარეობდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარე თინათინ ნიბლოშვილი.

სხდომის დღის წესრიგი:

1. საკითხი: ა(ა)იპ ქ. თბილისის №70-ე საბავშვო ბაგა-ბაღის მიერ 2018 წლის 1 იანვრიდან 2020 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდში გაწეული საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის სარევიზიო შემოწმების მასალების განხილვა;

მომხსენებელი: შ. გოგორელიანი

თანამდებობა: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პირველადი სტრუქტურული ერთეულის (აპარატი) სარევიზიო კომისიის სამდივნოს პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი

2. საკითხი: ა(ა)იპ ქ. თბილისის №34-ე საბავშვო ბაგა-ბაღის მიერ 2018 წლის 1 იანვრიდან 2020 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდში გაწეული საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის სარევიზიო შემოწმების მასალების განხილვა.

მომხსენებელი: გ. კობოსნიძე

თანამდებობა: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პირველადი სტრუქტურული ერთეულის (აპარატი) სარევიზიო კომისიის სამდივნოს პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი

კომისიის თავმჯდომარე თინათინ ნიბლოშვილი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას.

წარმოდგენილი დღის წესრიგი განათლებისა და კულტურის კომისიის წევრთა მიერ მოწონებულ იქნა.

მოისმინეს:

დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით, სხდომის თავმჯდომარემ, ლევან ჯაფარიძემ სიტყვა გადასცა მომხსენებელს, სარევიზიო კომისიის სამდივნოს I კატეგორიის უფროს სპეციალისტს (შემმოწმებელი ჯგუფის ხელმძღვანელი) შალვა გოგორელიანს.

შალვა გოგორელიანმა წარმოადგინა ა(ა)იპ ქ. თბილისის №70-ე საბავშვო ბაგა-ბაღის მიერ 2018 წლის 1 იანვრიდან 2020 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით გაწეული საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის სარევიზიო შემოწმების მასალები; როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, №70-ე საბავშვო ბაგა-ბაღს გარკვეული სახის ხარვეზები აღმოაჩნდა, რაც დაკავშირებული იყო შიდა დოკუმენტაციის წარმოებასთან, თანამშრომლების პირადი საქმეების აღრიცხვასთან, თანამშრომელთა სამსახურიდან გათავისუფლების შემთხვევაში სახელფასო ანგარიშსწორების ხარვეზთან, თანამშრომლების დასწრების ჟურნალის უწყვეტი თანმიმდევრობის დარღვევასთან, ინვენტარიზაციასთან, საკვები პროდუქტების მიღება/გაცემის ჟურნალის აღრიცხვასთან, პროდუქტების დარიგება-ჩამოწერასთან და სახანძრო-საევაკუაციო კიბის მოწყობასთან.

დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით აზრი გამოთქვეს:

ლევან ჯაფარიძემ, თინათინ ნიბლოშვილმა, შალვა გოგორელიანმა და ნანა ჩიკვაიძემ.

საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა ნანა ჩიკვაიძეს, რომელიც შეეხებოდა საკონსულტაციო საბჭოში მშობლების ჩართულობის საკითხს, კერძოდ: რა მიმართულებებზე ამახვილებენ ყურადღებას მშობლები და რატომ არის საბჭოში მათი მონაწილეობის საჭიროება, რაზეც ბაღის დირექტორმა განმარტა, რომ საკონსულტაციო საბჭოს წევრი მშობლები ძირითადად ინტერესდებიან ინფრასტრუქტურული პროექტებით;

თინათინ ნიბლოშვილი ასევე დაინტერესდა, რა პრინციპით ხდება ორმაგი საკვები პროდუქტის გადაცემა სოციალურად დაუცველი აღსაზრდელებისთვის, რაზეც ბაღის დირექტორმა განაცხადა, რომ თუ დარჩება ნობათი წაუღებელი, ამ შემთხვევაში აღმზრდელები თავად წყვეტენ პროდუქტის განაწილების საკითხს, იმის გათვალისწინებით, დღის ბოლოს რამდენი სოციალურად დაუცველი აღსაზრდელის მშობელი მიაკითხავს.

დღის წესრიგის მეორე საკითხთან დაკავშირებით, სხდომის თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა მომხსენებელს, სარევიზიო კომისიის სამდივნოს I კატეგორიის უფროს სპეციალისტს (შემმოწმებელი ჯგუფის ხელმძღვანელი) გურამ კობოსნიძემ.

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, №34-ე საბავშვო ბაგა-ბაღსაც, ძირითადად, იგივე სახის ხარვეზები უფიქსირდება, რაც №70-ე ბაღის შემთხვევაში. ხარვეზები დაკავშირებული იყო შიდა დოკუმენტაციის წარმოებასთან, სასაქონლო ზედნადების კორექტირებასთან, საკვები პროდუქტების ნაშთის აღრიცხვიანობასთან, ხელშეკრულებაში მიწოდების ვადების და ხარისხის აღმნიშვნელი ტექნიკური მახასიათებლების განუსაზღვრელობასთან.

დღის წესრიგის მეორე საკითხთან დაკავშირებით აზრი გამოთქვა:

საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის წევრმა, მარიკა დარჩიამ, რომელმაც აღნიშნა, რომ „ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენა“ მნიშვნელოვანია, ვინაიდან საქმე ბავშვების უსაფრთხოებას შეეხება. აღნიშნული პოზიცია გაიზიარა საკრებულოს სარევიზიო კომისიის თავმჯდომარემაც.

კომისიის წევრების მხრიდან სხვა შენიშვნები და მოსაზრებები არ ყოფილა.

განათლებისა და კულტურის კომისიამ ცნობად მიიღო სარევიზიო კომისიის გადაწყვეტილება, რომლის თანახმად, ბაგა-ბაღის ხელმძღვანელობას დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნებთან მიმართებით მიეცა რეკომენდაცია, ხოლო შემოწმება-ანალიზის დასკვნები, შემდგომი რეაგირებისთვის, გადაეგზავნა მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის საქალაქო სამსახურს.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე:
თინათინ ნიბლოშვილი

შეადგინა:
ირაკლი შამათავა